ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N125

2015 წლის 27 აგვისტო

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემისა და ქონების წლიური სარგებლობის ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის (ადმინისტრაციული შენობა) პირველ სართულზე მდებარე 25.0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით პირდაპირი წესით განკარგვაზე 1 (ერთი) წლის ვადით სტომატოლოგიური კაბინეტის ფუნქციონირებისათვის;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის (ადმინისტრაციული შენობა) პირველ სართულზე მდებარე (ს/კ N20.33.01.084) 1 (ერთი) წლის ვადით 25.0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის წლიური სარგებლობის ქირის საწყისი ფასი დადგინდეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე